ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31253001**
თარიღი: **27/10/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჩიბათის, გვიმბალაურისა და მაჩხვარეთის მაჟორიტარი დეპუტატის, გიორგი ჩახვაძის

2025 წლის 1 იანვრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული მუშაობის შესახებ

ანგარიში

მოგახსენებთ, რომ 2025 წლის 1 იანვრიდან დღემდე, ისევე როგორც გასულ წლებში, აქტიურ კომუნიკაციაში ვიყავი მოსახლეობასთან. პერიოდულად ვხვდებოდი სოფლების ჩიბათის, გვიმბალაურის და მაჩხვარეთის მოსახლეობას და ერთად განვიხილავდით სოფლების პრობლემურ საკითხებს, ვიძიებდით მათი გადაჭრის გზებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 3 ათეული წლის განმავლობაში გურიაში ასეთი მძიმე ზამთარი და დიდთოვლობა არ ყოფილა. სოფლის რწმუნებულებთან (ალეკო კუკულაძე, დურმიშხან ხოფერია) ერთად ვეხმარებოდით მოსახლეობას პირველადი მოხმარების პროდუქტისა და მედიკამენტების მიწოდებაში, გზების გაწმენდაში, ავარიული სახლებიდან მოსახლეობის გაყვანაში. ასევე, აქტიურად იყო ჩართული პროცესებში სოფლის ახალგაზრდობაც. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ამ მძიმე სტიქიას ერთობლივად წარმატებით გავართვით თავი.

ასევე ყოველდღიურად სამუშაო პროცესში ვხვდებოდი მოსახლეობას, ვიხილავდი მათ პრობლემურ საკითხებს და შეძლებისდაგვარად ადგილობრივ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად დახმარებას ვუწევდი მუნიციპალური პროგრამებიდან.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს სოფელ გვიმბალაურში ახალგაზრდობის მოთხოვნა იყო ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მშენებლობა, რაც განხილული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან და მიმდინარე წლის განმავლობაში მოძიებული იქნა ფინანსური რესურსი და დაკმაყოფილებული იქნა მათი მოთხოვნა. ასეთივე ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მშენებლობა მიმდინარეობს სოფელ ჩიბათში და სოფელ მაჩხვარეთში, რომელიც უახლოეს მომავალში დასრულდება. ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის გადაწყვეტილებით პრიორიტეტი მიენიჭა შიდა გზების რეაბილიტაციას. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან და მოსახლეობასთან ერთად ჩვენი ფიზიკური ჩართულობით მოხდა გზების დაგება. ასევე სოფელ გვიმბალაურში დასრულდა სასაფლაოს კეთილმოწყობა. სოფელ ჯუნჯუათში იმედაიშვილების უბანში დაიგო გზა.

მოგეხსენებათ, რომ სამივე სოფელში ტექნიკური წყალია. განსაკუთრებით რთულია ზაფხულის პერიოდი, როდესაც წყლის დებეტი ნაკლებია, ასევე წყლის მილები ამორტიზირებულია და მოსახლეობას რთულ პირობებში უწევს ყოფა. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლებთან ერთად ყოველკვირეულად ჩართული ვარ წყლის მილების შეკეთებისა და სათავე-ნაგებობების შეკეთების პროცესში. მიმდინარე წელს მოვახერხეთ ის, რომ სოფელი მაჩხვარეთი წლის ბოლომდე სრულად იქნება უზრუნველყოფილი 24 საათიანი სასმელი წყლის მიწოდებით.

რაც შეეხება გზისპირა სოფლებს, ჩიბათსა და გვიმბალაურს, სადაც გადის ავტობანი მოსახლეობას ქონდა პრობლემები იმ ხიდებთან დაკავშირებით, საიდანაც ხდება წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის გადადენა და საყანე ფართობებში და ფერმერულ მეურნეობებში ტრანსპორტით გადაადგილება. კერძოდ: გადასასვლელებში დგებოდა წყალი, რის გამოც შეუძლებელი იყო გადაადგილება. როგორც შემსრულებელ კომპანიასთან, ასევე საგზაო დეპარტამენტთან მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული იქნა შეთანხმება და 5 გადასასვლელიდან 4 მოწესრიგებულია და ერთზე აქტიურად მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები.

მიმდინარე წლის ზამთარში სოფელ გვიმბალაურში, სოფელ ჩიბათსა და მაჩხვარეთში სტიქიის შედეგად დაიტბორა რამდენიმე უბანი, სადაც მოვახერხეთ ერთ კილომეტრამდე სანიაღვრე არხის მოწყობა და გზის დაგება. სოფელ ჩიბათში აღვადგინეთ ეგრეთწოდებული „კიბზახეთის“ გზა, სოფელ ზემო ჩიბათში-ცენტრალური ხიდი, სოფელ ჭალაში-მალხაზ კუკულაძესთან მისასვლელი ხიდი. ასევე აღვადგინეთ ეგრეთწოდებული „მერის უბანში“, ლევან პატარაიასთან მისასვლელი გზა და ნაპირსამაგრი, მანანა ლომთათიძესთან-მისასვლელი ხიდი და ნაპირსამაგრი, ბეჟან ბერიძესთან მოეწყო ნაპირსამაგრი.

ასევე გავაგრძელეთ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა სოფელ ორაგვესა და სოფელ ჩიბათში. სოფელ ჩიბათში დავიწყეთ საბავშვო ბაღის მშენებლობა, გავხსენით „გურული მხედრების“ სკვერი და მოვაწყვეთ ევროსტანდარტებით სოფლის ამბულატორია. ასევე გადავხურეთ სტიქიის შედეგად დაზიანებული 25 სახლი, დავეხმარეთ დაზარალებულ ოჯახებს თუნუქისა და ხეობის შეძენაში.

სამომავლოდ ადგილობრივ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად დაიგეგმა არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

ამასთან ერთად 2025 წლის 1 იანვრიდან დღემდე აქტიურად ვიყავი ჩართული საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, სადაც არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა და დამტკიცება მოხდა.

მომავალშიც, ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში მაქსიმუმს გავაკეთებ იმისთვის, რომ შეძლებისდაგვარად მოხდეს ყველა იმ პრობლემის მოგვარება, რომელიც ჩემი სოფლის მოსახლეობას აწუხებს, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე სოციალური კუთხით.

პატივისცემით,

გიორგი ჩახვაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე